ოქმი:**ო63. 63261912**
თარიღი:**10/07/2026**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს სხდომის**

**ო ქ მ ი N 24**

ქ. სამტრედია. 10 ივლისი, 2026 წელი.

2026 წლის 10 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

***სხდომას ესწრებოდნენ:*** ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ჯონი თევზაძე, ნუგზარ ნუცუბიძე, თენგიზ ცაგურია, გრიგოლ ჩიგოგიძე მ/შ.

***ასევე სხდომას ესწრებოდნენ:***

***1.*** საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

***2.*** საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

***3.*** საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

**დღის წესრიგი**

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მერიიდან შემოსული 2026 წლის 10 ივლისის წერილობითი მომართვის განხილვის შესახებ.

**/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/**

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად ( 10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

**1.** ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 10 ივლისის*** N 62-622619116 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება''-ს 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, საქონლისა და მომსახურების ხარჯის გეგმა მცირდება 5.0 ათ.ლარით. შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის გეგმა იზრდება 5.0 ათ.ლარით (ბიულეტინის თანხის ასანაზღაურებლად).

(მომართვის N 62-622619116 **10/07/2026** წ. საკრებულოს რეგისტრაციის**N:12-63261912-63 10/07/2026** წ.)

***კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.***

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა დასრულებულია.

***სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე***

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი